უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 21 0000052018

02/02/2021

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის "გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 86-ე მუხლის პირველი, მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს (ს/კ: 201951637) მიენიჭოს უფლებამოსილება დაიმატოს და განახორციელოს "გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	განხორციელების ადგილი	საფეხური	ECTS
1		ინგლისური			მაგისტრატურა	120

	გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევები		უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი (კოდი 0312)	0141, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ჩარგლის ქ. 73		

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 02 თებერვლის N51697 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ